საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-471

18/06/2018

ქ. თბილისი

ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე სს „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ,,აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის ქობულეთის განშტოების 60 კმ-იანი ტრასის 18 კმ-იანი მონაკვეთის ცვლილების პროექტზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.11 ქვეპუნქტის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაიცეს ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე, სს „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ,,აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის ქობულეთის განშტოების 60 კმ-იანი ტრასის 18 კმ-იანი მონაკვეთის ცვლილების პროექტზე“ სკოპინგის დასკვნა #11; 06.06.2018წ.
2. სს „ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #11; 06.06.2018 წ. სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „ნავთობისა და გაზის კორპორაციას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში-საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი